

PHILIPS

AC1715



მომხმარებლის სახელმძღვანელო

შინაარსი

1	მნიშვნელოვანია	2
	უსაფრთხოება	2
	ელექტრომაგნიტური ველები (ემვ)	4
	გადამუშავება	4
	ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის გამარტივებული დეკლარაცია	5
2	ჰაერის გამწმენდი	6
	პროდუქტის აღწერა	6
	მართვის ელემენტების მიმოხილვა	7
3	პირველი ნაბიჯები	8
	ფილტრის დაყენება	8
	Wi-Fi-ს ინდიკატორის განმარტება	8
	კვების წყაროსთან დაკავშირება	9
	Wi-Fi კავშირი	9
4	ჰაერის გამწმენდის გამოყენება	10
	ჰაერის ხარისხის ინდიკატორის სიგნალების განმარტება	10
	ჩართვა და გამორთვა	11
	რეჟიმის პარამეტრის შეცვლა	12
	დისპლეის ინდიკატორის შეცვლა	13
	სინათლის ჩართვის/გამორთვის ფუნქცია	13
5	გასუფთავება და მოვლა-შენახვა	14
	გასუფთავების გრაფიკი	14
	ჰაერის გამწმენდის კორპუსის გასუფთავება	14
	ნაწილაკების სენსორის გასუფთავება	14
	ფილტრის ზედაპირის გასუფთავება	15
	ფილტრის გამოცვლა	16
	ფილტრის გადატვირთვა	18
6	შენახვა	19
7	ხარვეზების აღმოფხვრა	19
8	გარანტია და მხარდაჭერა	23
	ნაწილებისა და აქსესუარების შეკვეთა	23

1 მნიშვნელოვანია

უსაფრთხოება

ყურადღებით წაიკითხეთ მომხმარებლის ეს სახელმძღვანელო მოწყობილობის ჩართვამდე და შეინახეთ ის მომავალში გამოსაყენებლად. მოწყობილობის ყველაზე მაღალი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად დარწმუნდით, რომ გამწმენდის უახლეს ვერსიას იყენებთ. ამ განახლების გაკეთება Air+ აპის მეშვეობით შეგიძლიათ.

საშიშია!

- არ გაასუფთაოთ მოწყობილობა წყლით ან ნებისმიერი სხვა სახის სითხით ან (აალებადი) გამწმენდი საშუალებით, არ მისცეთ მათ მოწყობილობაში შეღწევის საშუალება, რათა თავიდან აიცილოთ დენის დარტყმა და/ან ხანძრის გაჩენის საფრთხე.
- მოწყობილობის გარშემო არ დაასხუროთ აალებადი ნივთიერებები, როგორიცაა ინსექტიციდები ან არომატიზატორები.

ყურადღება!

- მოწყობილობის შეერთებამდე შეამოწმეთ, შეესაბამება თუ არა მოწყობილობაზე მითითებული ძაბვა ადგილობრივი ელექტროქსელის ძაბვას.
- დაზიანების შემთხვევაში ელექტროკაბელი გამოცვალეთ კომპანია Philips-ში, Philips-ის ავტორიზებულ სერვისცენტრში ან ანალოგიური კვალიფიკაციის მექონე სხვა სერვისცენტრში, რათა თავიდან აიცილოთ საფრთხე.
- აკრძალულია მოწყობილობის გამოყენება, თუ დაზიანებულია შტეკერი, ელექტროკაბელი ან თავად მოწყობილობა.
- ამ მოწყობილობის გამოყენება დასაშვებია ბავშვებისთვის 8 წლიდან და ასევე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან მენტალური შესაძლებლობების ან გამოცდილებისა და ცოდნის არმქონე პირებისთვის, თუ მათ მიიღეს ინსტრუქცია მოწყობილობის უსაფრთხო გამოყენების შესახებ ან მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან და ესმით, რა საფრთხეები არსებობს.
- ბავშვებმა არ უნდა ითამაშონ მოწყობილობით.

- ბავშვებისთვის აკრძალულია მოწყობილობის განმენდა და მოვლა-შენახვა მეთვალყურეობის გარეშე.
- არ დაბლოკოთ ჰაერის შემშვები და გამომშვები, მაგალითად, მათ წინ საგნების განთავსებით.
- დარწმუნდით, რომ მოწყობილობაში არ მოხვდება უცხო სხეულები ჰაერის გამომშვების გავლით.
- Wi-Fi-ს სტანდარტული ინტერფეისი: 802.11b/g/n 2,4 გჰც, მაქსიმალური გამომავალი სიმძლავრე: 100 მლვტ EIRP.
- Bluetooth-ის ვერსია 5.0 (LE) 2,4 გჰც სიხშირეზე, RF-ის გამომავალი სიმძლავრით 10 მლვტ-ზე ნაკლები EIRP.

გაფრთხილება

- ეს მოწყობილობა ვერ ჩაანაცვლებს ვენტილაციის სრულყოფილ სისტემას, მტვერსასრუტით რეგულარულ წმენდას ან სამზარეულოს გამწოვ-ვენტილატორს.
- მოწყობილობა ყოველთვის დააყენეთ და გამოიყენეთ მშრალ, მყარ, თანაბარ და ჰორიზონტალურ ზედაპირზე.
- მოწყობილობის გარშემო მინიმუმ 20 სმ თავისუფალი სივრცე უნდა იყოს, ხოლო მოწყობილობის ზემოთ — მინიმუმ 30 სმ.
- არ დაჭდეთ ან დადგეთ მოწყობილობაზე. არ დადოთ არაფერი მოწყობილობის თავზე.
- არ მოათავსოთ მოწყობილობა პირდაპირ კონდიციონერის ქვეშ, რათა თავიდან აიცილოთ მასზე კონდენსატის მოხვედრა.
- გამოიყენეთ მხოლოდ Philips-ის ორიგინალი ფილტრები, რომლებიც განკუთვნილია სპეციალურად ამ მოწყობილობისთვის. არ გამოიყენოთ სხვა ფილტრები.
- ფილტრის აალებამ, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჯანმრთელობას და/ან საფრთხე შეუქმნას სიცოცხლეს. არ გამოიყენოთ ფილტრი საწვავად ან მსგავსი მიზნებისთვის.
- არ დაარტყათ მოწყობილობას (განსაკუთრებით ჰაერის შემშვებსა და გამომშვებზე) მყარი საგნები.
- არ მოათავსოთ თითები ან საგნები ჰაერის გამომშვებსა და შემშვებში, რათა თავიდან აიცილოთ ფიზიკური დაზიანება ან მოწყობილობის გაუმართაობა.

- არ გამოიყენოთ ეს მოწყობილობა, თუ შენობაში კვამლის ტიპის ინსექტიციდით სარგებლობით ან ადგილებში, სადაც ნავთობის ნარჩენები, წვადი საკმეველი ან ქიმიური გამონაბოლქვია.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა გაზის დანადგარებთან, გამათბობელ მოწყობილობებთან ან ბუხრებთან ახლოს.
- სხვა ადგილას გადატანის, გაწმენდის, ფილტრის შეცვლის ან სხვა ტექნიკური სამუშაოს შესრულების წინ მოწყობილობა ყოველთვის გამორთეთ შტეფსელიდან.
- მოწყობილობა მხოლოდ ექსპლუატაციის ნორმალურ პირობებში საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვისაა განკუთვნილი.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა სველ ან ისეთ გარემოში, სადაც ჰაერის მაღალი დატენიანება ან მაღალი ტემპერატურა ფიქსირდება, მაგალითად, აბაზანაში, ტუალეტსა და სამზარეულოში ან ისეთ ოთახში, სადაც ტემპერატურა მკვეთრად იცვლება.
- მოწყობილობა არ ანეიტრალებს მხუთავ აირს (CO) და რადონს (Rn). დამცავი მოწყობილობის სახით მისი გამოყენება შეუძლებელია აალების ან საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოფრქვევის შემთხვევებში.

ელექტრომაგნიტური ველები (ემვ)

ეს მოწყობილობა აკმაყოფილებს მოქმედ სტანდარტებსა და რეგულაციებს ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედების შესახებ.

გადამუშავება

ეს სიმბოლო ნიშნავს, რომ მოცემული პროდუქტი ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად არ უნდა განთავსდეს (2012/19/EU).



დაიცავით თქვენი ქვეყნის წესები, რომლებიც ელექტრონული და ელექტრონული პროდუქტების განცალკევებით შეგროვებას ეხება. ნარჩენების სწორი განთავსება ხელს უწყობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას.

ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის გამარტივებული დეკლარაცია


DAP B.V. აცხადებს, რომ რადიოაპარატურის ტიპი AC1715 შეესაბამება დირექტივას 2014/53/EU. ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის დეკლარაციის სრული ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ ინტერნეტ-მისამართზე: **www.philips.com**.

2 ჰაერის გამწმენდი

Philips მოგესალმებათ და გილოცავთ ახალ შენაძენს!


Philips-ის მხარდაჭერის სრულყოფილად გამოსაყენებლად თქვენი პროდუქტი დაარეგისტრირეთ აქ: www.philips.com/welcome.

პროდუქტის აღწერა



*გამოიყენეთ მხოლოდ მოწოდებული
გადამყვანი ჩანგალი

მართვის ელემენტების მიმოხილვა



მართვის ღილაკები

	ინდიკატორების ჩართვის/გამორთვის ღილაკი		ჩართვის/გამორთვის ღილაკი
	რეჟიმის გადართვის ღილაკი		

საინფორმაციო პანელი


	Wi-Fi-ს ინდიკატორი		ავტომატური რეჟიმი
	1-ლი სიჩქარე		მე-2 სიჩქარე
	ტურბო რეჟიმი		ძილის რეჟიმი
PM2.5	PM2.5 დისპლეი	IAI	შიდა სივრცეში ალერგენების შემცველობის ინდექსი
	გამაფრთხილებელი შეტყობინება ფილტრის გაწმენდის შესახებ		გამაფრთხილებელი შეტყობინება ფილტრის შეცვლის შესახებ

3 პირველი ნაბიჯები

ფილტრის დაყენება

პირველ ჯერზე გამოყენებამდე ფილტრს მოაშორეთ ყველა შესაფუთი მასალა.

შენიშვნა: ფილტრის დაყენებამდე დარწმუნდით, რომ ჰაერის გამწმენდი გამორთულია შტეფსელიდან.



- 1 მოქაჩეთ უკან საფარს და ამოიღეთ მოწყობილობიდან.
- 2 ამოიღეთ ფილტრი მოწყობილობიდან.
- 3 ჰაერის გამწმენდის ფილტრს მოაშორეთ ყველა შესაფუთი მასალა.
- 4 ჩადეთ ფილტრი უკან მოწყობილობაში.
- 5 ხელახლა მიამაგრეთ უკან საფარი.

Wi-Fi-ს ინდიკატორის განმარტება


Wi-Fi-ს ხატულის სტატუსი	Wi-Fi-ს კავშირის სტატუსი
ნარინჯისფერი ციმციმი	მიმდინარეობს სმარტფონთან დაკავშირება
სტაბილური ნარინჯისფერი ნათება	დაკავშირებულია სმარტფონთან
თეთრი ციმციმი	მიმდინარეობს სერვერთან დაკავშირება
სტაბილური თეთრი ნათება	დაკავშირებულია სერვერთან
გამორთულია	Wi-Fi-ს ფუნქცია გამორთულია

კვების წყაროსთან დაკავშირება

შენიშვნა: ელექტროშოკის საფრთხე! ცვლადი დენის ელექტროკაბელის გამოძრობისას ყოველთვის შტეკერი გამოიღეთ ბუდიდან. არასდროს მოქაჩოთ კაბელს.

კვების წყაროს ადაპტერი შეაერთეთ:

- ჯერ მონყობილობის ელექტროკვების როზეტში.
- შემდეგ კედლის როზეტში.



Wi-Fi კავშირი

Wi-Fi-ს პირველად დაყენება

- 1 ჩამოტვირთეთ და დააყენეთ აპლიკაცია Philips „Air+“ App Store-დან ან Google Play-დან.
- 2 ჰაერის გამწმენდის შტეკერი შეაერთეთ შტეფსელში და მის ჩასართავად შეხებით აირჩიეთ (L).
→ Wi-Fi-ს ინდიკატორი  წარინჯისფრად აციმციმდება პირველ ჯერზე.
- 3 შეამოწმეთ, წარმატებით დაუკავშირდა თუ არა თქვენი სმარტფონი ან პლანშეტი Wi-Fi ქსელს.
- 4 გაუშვით აპლიკაცია „Air+“ და დაწკაპუნებით აირჩიეთ „ახალი მონყობილობის დაკავშირება“ ან დააჭირეთ ღილაკს „+“ ეკრანის ზედა ნაწილში. თქვენს ქსელთან ჰაერის გამწმენდის დასაკავშირებლად მიჰყევით ეკრანზე ნაჩვენებ ინსტრუქციებს.



შენიშვნა:

- ეს ინსტრუქცია გამოსაყენებლად ვარგისია ჰაერის გამწმენდის მხოლოდ პირველად დაყენების დროს. თუ ქსელი შეიცვალა ან ხელახალი დაყენებაა აუცილებელი, იხილეთ თავი „Wi-Fi-ს ხელახლა დაყენება“ გვერდზე 10.
- სმარტფონთან ან პლანშეტთან ჰაერის ერთზე მეტი გამწმენდის დაკავშირება თუ გსურთ, ეს ეტაპობრივად უნდა გააკეთოთ.
- თქვენს სმარტფონს ან პლანშეტსა და ჰაერის გამწმენდს შორის მანძილი 10 მეტრზე ნაკლები უნდა იყოს და მათ შორის არ უნდა იყოს სხვა ხელისშემშლელი ობიექტები.

Wi-Fi-ს ხელახლა დაყენება

შენიშვნა:

- ხელახლა დააყენეთ Wi-Fi, თუ თქვენი სტანდარტული ქსელი შეიცვალა.
- 1 ჰაერის გამწმენდის შტეკერი შეაერთეთ შტეფსელში და მის ჩასართავად შეხებით აირჩიეთ .
- 2 შეხებით აირჩიეთ  და ხელი არ აუშვათ 3 წამის განმავლობაში, სანამ ხმოვან სიგნალს არ გაიგონებთ.
 - ↳ ჰაერის გამწმენდი დაწყვილების რეჟიმზე გადავა.
 - ↳ Wi-Fi-ს ინდიკატორი  ნარინჯისფრად აციმციმდება.
- 3 მიჰყევით მე-3 და მე-4 ნაბიჯს განყოფილებაში „Wi-Fi-ს პირველად დაყენება“.

4 ჰაერის გამწმენდის გამოყენება

ჰაერის ხარისხის ინდიკატორის სიგნალების განმარტება

ჰაერის გამწმენდის ჩართვის შემდეგ ჰაერის ხარისხის ინდიკატორი ავტომატურად ჩაირთვება და თანმიმდევრულად აციმციმდება სხვადასხვა ფერი. დაახლოებით 30 წამის შემდეგ ნაწილაკების სენსორი აირჩევს ფერს, რომელიც აეროზოლის ნაწილაკების შემცველი ჰაერის ხარისხს შეესაბამება.

ჰაერის ხარისხის განათების ფერი განისაზღვრება PM2.5 და IAI მაჩვენებლებს შორის ყველაზე მაღალი ინდექსის მეშვეობით.

ჰაერის ხარისხის ინდიკატორის ფერი	ჰაერის ხარისხი
ლურჯი	კარგი
ლურჯი-მეწამული	საშუალო
მეწამული-წითელი	ცუდი
წითელი	ძალიან ცუდი

PM2.5

ტექნოლოგია **AeraSense** ზუსტად აფიქსირებს და სწრაფად რეაგირებს ჰაერში ნაწილაკების უმცირეს ცვლილებაზეც კი. ის რეალურ დროში მოგაწვდით ცნობებს PM2.5 ნაწილაკების შემცველობის შესახებ.

PM2.5-ის დონე	ჰაერის ხარისხის ინდიკატორის ფერი
≤12	ლურჯი
13-35	ლურჯი-მეწამული
36-55	მეწამული-წითელი
>55	წითელი

საცხოვრებლის შიგნით ჰაერის დამაბინძურებლების უმრავლესობა მიეკუთვნება კატეგორიას PM2.5 — ჰაერში არსებულ დამაბინძურებელ ნაწილაკებს, რომლებიც 2,5 მიკრომეტრს არ აღემატება ზომაში. ამ ელემენტების ძირითადი წყაროა თამბაქოს კვამლი, მოსამზადებელი საკვები პროდუქტები და ანთებული სანთლები. რამდენიმე ბაქტერია, ობის უმცირესი სპორა და ალერგენი, რომლებსაც ცხოველთა კანი და მტვრის ნაწილაკები შეიცავს ასევე შედის კატეგორიაში: PM2.5.

IAI

პროფესიონალური დონის სენსორი **AeraSense** საცხოვრებელში ალერგენების დონეს ადგენს და 1-დან 12-მდე სკალით აფასებს ჰაერში არსებული ალერგენების პოტენციურ რისკს, რაც შემდეგ ეკრანზე აისახება. 1 ნიშნავს, რომ ჰაერი საუკეთესო ხარისხისაა.

IAI-ის დონე	ჰაერის ხარისხის ინდიკატორის ფერი
1-3	ლურჯი
4-6	ლურჯი-მეწამული
7-9	მეწამული-წითელი
10-12	წითელი

ჩართვა და გამორთვა

შენიშვნა:

- განმენდის ოპტიმალური ხარისხის მისაღებად დახურეთ კარები და ფანჯრები.
- ფარდებს მოაშორეთ ჰაერის შემშვები და გამომშვები.

1 ჰაერის გამწმენდის შტეკერი მოათავსეთ კვების წყაროს ბუდეში.

2 შეხებით აირჩიეთ **⏻** ჰაერის გამწმენდის ჩასართავად.

- ↳ ჰაერის გამწმენდი მოკლე ხმოვან სიგნალს გამოსცემს.
- ↳ გახურებისას ეკრანზე ჩანს „--“. ჰაერის ხარისხის გაზომვის შემდეგ გამწმენდის ეკრანზე გამოჩნდება PM2.5/IAI-ის დონე.
- ↳ ჰაერის გამწმენდი ავტომატურ რეჟიმში იმუშავებს, ხოლო ეკრანზე გამოსახული იქნება IAI.



3 ჰაერის გამწმენდის გამოსართავად შეხებით აირჩიეთ **⏻** და ხელი არ აუშვათ 3 წამის განმავლობაში.

შენიშვნა: თუ გამორთვის შემდეგ ჰაერის გამწმენდი შტეფსელში შეერთებული დარჩება, ხელმეორედ ჩართვისას ის წინა პარამეტრების მიხედვით იმუშავებს.

რეჟიმის პარამეტრის შეცვლა

დილაკზე ☹️ შეხებით შესაძლებელია ავტომატური რეჟიმის, 1-ლი სიჩქარის, მე-2 სიჩქარის, ტურბო რეჟიმისა და ძილის რეჟიმის არჩევა.



ავტომატური რეჟიმი (Ⓐ):

ჰაერის გამწმენდი ავტომატურად დაარეგულირებს ვენტილატორის სიჩქარეს გარემომცველი ჰაერის ხარისხის შესაბამისად.



მექანიკური სიჩქარე

(Ⓐ & Ⓑ): მექანიკურ რეჟიმში ჰაერის გამწმენდი 1-ლი ან მე-2 სიჩქარით იმუშავებს.



ტურბო რეჟიმი (Ⓒ):

ტურბო რეჟიმში ჰაერის გამწმენდი მაქსიმალური სიჩქარით იმუშავებს.




ძილის რეჟიმი (Ⓓ):

ჰაერის გამწმენდი ჩუმად იმუშავებს დაბალ სიჩქარეზე. ეკრანი გამოირთვება 3 წამის შემდეგ.


დისპლეის ინდიკატორის შეცვლა

შენიშვნა: მოწყობილობის დისპლეიზე ნაგულისხმევად გამოსახულია PM2.5 დონე.

- IAI/PM2.5-ს შორის დისპლეის ინდიკატორის გადასართავად შეეხეთ და 3 წამის განმავლობაში ხელი არ გაუშვათ ლილაკს 'ფ'.



სინათლის ჩართვის/გამორთვის ფუნქცია



სინათლის სენსორით შესაძლებელია მართვის პანელის ავტომატური ჩართვა, გამორთვა ან გაფერმკრთალება გარემოს განათების შესაბამისად. მართვის პანელი გამორთული ან ფერმკრთალი იქნება, თუ გარემოს განათება სუსტია. ყველა სინათლის ჩართვა ნებისმიერ ლილაკზე შეხებითაა შესაძლებელი. თუ ამის შემდეგ სხვა მოქმედებას არ შეასრულებთ, ყველა სინათლე გამოირთვება ან ისევ გაფერმკრთალება გარემოს განათების შესაბამისად.

მართვის პანელისა და ყველა სინათლის გამოსართავად შეგიძლიათ, მექანიკურად შეხებით აირჩიოთ ლილაკი 'ფ'. ყველა სინათლის ჩასართავად ნებისმიერ ლილაკს შეეხეთ.

5 გასუფთავება და მოვლა-შენახვა

შენიშვნა:

- გასუფთავებამდე მოწყობილობა ყოველთვის გამორთეთ შტეფსელიდან.
- არასდროს ჩადოთ მოწყობილობა წყალში ან სხვა სითხეში.
- მოწყობილობის არცერთი ნაწილის გასასუფთავებლად არასდროს გამოიყენოთ აბრაზიული, აგრესიული ან ააღებადი გამწმენდი საშუალებები, როგორიცაა მათეთრებელი ან ალკოჰოლი.
- ფილტრის გასაწმენდად არასდროს გამოიყენოთ სითხე (მათ შორის, წყალი).
- მტვერსასრუტით არ სცადოთ ნაწილაკების სენსორის გაწმენდა.

გასუფთავების გრაფიკი

სიხშირე	გასუფთავების მეთოდი
საჭიროების შემთხვევაში	რბილი, მშრალი ქსოვილით განმინდეთ მოწყობილობის პლასტიკური ნაწილი
	განმინდეთ ჰაერის გამომშვების საფარი
ორ თვეში ერთხელ	ნაწილაკების სენსორი განმინდეთ ბამბის მშრალი ტამპონით
ეკრანზე ჩანს ✖.	განმინდეთ ფილტრის ზედაპირი

ჰაერის გამწმენდის კორპუსის გასუფთავება

მტვრის დაგროვების თავიდან ასაცილებლად რეგულარულად გაასუფთავეთ ჰაერის გამწმენდის შიდა და გარე მხარე.

- ჰაერის გამწმენდის როგორც შიდა, ისე გარე მხარისა და ჰაერის გამომშვების გასასუფთავებლად რბილი, მშრალი ქსოვილი გამოიყენეთ.


ნაწილაკების სენსორის გასუფთავება

მოწყობილობის ოპტიმალური მუშაობისთვის ნაწილაკების სენსორი ყოველ 2 თვეში ერთხელ გაასუფთავეთ.

შენიშვნა:


- ჰაერის გამწმენდს უფრო ხშირი გასუფთავება შეიძლება დასჭირდეს, თუ ის მტვრიან გარემოში გამოიყენება.
- თუ ოთახში ტენიანობის დონე ძალიან მაღალია, ნაწილაკების სენსორზე კონდენსატი შეიძლება გაჩნდეს და ჰაერის ხარისხის ინდიკატორმა ჰაერის ცუდი ხარისხი შეიძლება გიჩვენოთ მიუხედავად იმისა, რომ

სინამდვილეში ჰაერის ხარისხი კარგია. ასეთ შემთხვევაში გაასუფთავეთ ნაწილაკების სენსორი.




- 1 გამორთეთ ჰაერის გამზმენდი და კვების წყაროს ბუდიდან გამოაძრეთ შტეკერი.
- 2 გახსენით ჰაერის სენსორის საფარი.
- 3 ნაწილაკების სენსორი გაწმინდეთ ბამბის სველი ტამპონით.
- 4 რბილი, მშრალი ქსოვილით გულდასმით გაამშრალეთ ყველა ნაწილი.
- 5 დახურეთ ჰაერის ხარისხის სენსორი.

ფილტრის ზედაპირის გასუფთავება




ფილტრის შესახებ გამაფრთხილებელი შეტყობინების ინდიკატორის სტატუსი	მოქმედება
ეკრანზე ჩანს გამაფრთხილებელი შეტყობინება  ფილტრის გასუფთავების თაობაზე.	მტვერსასრუტით გაასუფთავეთ ფილტრის ზედაპირი.

- 1 გამორთეთ ჰაერის გამზმენდი და კვების წყაროს ბუდიდან გამოაძრეთ შტეკერი.



- 2 მოქაჩეთ უკან საფარს და ამოიღეთ მოწყობილობიდან.
- 3 ამოიღეთ ფილტრი მოწყობილობიდან.
- 4 მტვერსასრუტით გაასუფთავეთ ფილტრის ზედაპირი.
- 5 ჩადეთ ფილტრი უკან მოწყობილობაში.
- 6 ხელახლა მიამაგრეთ უკან საფარი.
- 7 ჰაერის გამწმენდის შტეკერი მოათავსეთ კვების წყაროს ბუდეში.
- 8 შეხებით აირჩიეთ ღილაკი **⏻** მოწყობილობის ჩასართავად.
- 9 ფილტრის გასუფთავების დროის გადასატვირთად შეხებით აირჩიეთ ღილაკი **⏻** და **⏻** და 3 წამის განმავლობაში არ აუშვით ხელი.
- 10 ფილტრის გასუფთავების შემდეგ გულდასმით დაიბანეთ ხელები.



ფილტრის გამოცვლა


ჰაერის გამწმენდის ბლოკირების სისტემის მუშაობა

ჰაერის გამწმენდი აღჭურვილია ფილტრის გამოცვლის ინდიკატორით, რაც ფილტრის მდგომარეობის შემოწმების საშუალებას იძლევა და მოწყობილობის მუშაობის ოპტიმალურ ხარისხს უზრუნველყოფს. როცა საჭირო გახდება ფილტრის გამოცვლა, წითლად აინთება გამაფრთხილებელი შეტყობინება ფილტრის გამოცვლის შესახებ **⏻**. თუ ფილტრს დროულად არ გამოცვლით, ჰაერის გამწმენდი მუშაობას შეწყვეტს და ავტომატურად დაიბლოკება, რათა ოთახში ჰაერი არ დააბინძუროს. ფილტრი გამოცვალეთ რაც შეიძლება მალე.

ფილტრის გამოცვლა


შენიშვნა:

- დაუშვებელია ფილტრის გარეცხვა ან ხელახლა გამოყენება.
- ფილტრების გამოცვლამდე ყოველთვის გამორთეთ ჰაერის გამწმენდი და შტეფსელიდან გამოაძრეთ შტეკერი.



ფილტრის შესახებ გამაფრთხილებელი შეტყობინების ინდიკატორის სტატუსი	მოქმედება
ინთება გამაფრთხილებელი შეტყობინება ფილტრის გამოცვლის შესახებ	გამოცვალეთ NanoProtect- ის ფილტრი (FY1700/30)

- 1 გამორთეთ ჰაერის გამწმენდი და კვების წყაროს ბუდიდან გამოაძრეთ შტეკერი.




- 2 მოქაჩეთ უკანა საფარს და ამოიღეთ მოწყობილობიდან.
- 3 ამოიღეთ ფილტრი მოწყობილობიდან.
- 4 ახალ ფილტრს მოაშორეთ ყველა შესაფუთი მასალა.
- 5 მოწყობილობაში ჩადეთ ახალი ფილტრი.
- 6 ხელახლა მიამაგრეთ უკანა საფარი.
- 7 ჰაერის გამწმენდის შტეკერი მოათავსეთ კვების წყაროს ბუდეში.

8 შეხებით აირჩიეთ ღილაკი **⏻** მოწყობილობის ჩასართავად.

9 ფილტრის ვარგისიანობის ვადის მრიცხველის გადასატვირთად შეხებით აირჩიეთ ღილაკი **⏻** და **⏻** და 3 წამის განმავლობაში არ გაუშვით ხელი.

10 ფილტრის გამოცვლის შემდეგ გულდასმით დაიბანეთ ხელები.

შენიშვნა: არ დაყნოსოთ ფილტრი, რადგან ის გაჭერებულია ჰაერიდან შეგროვებული დამაბინძურებელი აგენტებით.




ფილტრის გადატვირთვა


ასევე შეგიძლიათ, ეკრანზე ფილტრის შეცვლის შესახებ გაფრთხილების (**⏻**) გამოჩენამდე გამოცვალოთ ფილტრი. ფილტრის შეცვლის შემდეგ ფილტრის ვარგისიანობის მრიცხველი მექანიკურად უნდა გადატვირთოთ.

1 მოწყობილობის გამოსართავად შეეხეთ და 3 წამის განმავლობაში არ გაუშვით ხელი კვების ღილაკს **⏻**, ხოლო ამის შემდეგ შტეკერი გამოაძრეთ კვების ბუდიდან.

2



3



2 შეაერთეთ შტეკერი ელექტროქსელის შტეფსელში.

3 ფილტრის ვარგისიანობის მთვლელის გადასატვირთად ჩართვის შემდეგ 15 წამის განმავლობაში შეეხეთ და 3 წამით არ გაუშვით ხელი ღილაკებს **⏻** და **⏻**.

6 შენახვა

- 1 გამორთეთ ჰაერის გამწმენდი და გამოაძრეთ შტეკერი ელექტროქსელიდან.
- 2 გაასუფთავეთ ჰაერის გამწმენდი, ნაწილაკების სენსორი და ფილტრის ზედაპირი (იხილეთ თავი „გასუფთავება და მოვლა-შენახვა“).
- 3 შენახვამდე სრულყოფილად გააშრეთ ყველა ნაწილი.
- 4 ფილტრი მოათავსეთ პლასტმასის ჰერმეტიკულ პაკეტებში.
- 5 ჰაერის გამწმენდი და ფილტრი შეინახეთ გრილ, მშრალ ადგილას.
- 6 ფილტრთან მოპყრობის შემდეგ ყოველთვის გულდასმით დაიბანეთ ხელები.

7 ხარვეზების აღმოფხვრა

ამ თავში შეჯამებულია ყველაზე გავრცელებული პრობლემები, რომლებსაც მოწყობილობის გამოყენებისას შეიძლება შეხვდეთ. თუ ქვემოთ მოცემული ინფორმაციით პრობლემის გადაწყვეტას ვერ მოახერხებთ, მომხმარებელთა მხარდაჭერის ცენტრს მიმართეთ თქვენს ქვეყანაში.

პრობლემა	შესაძლო გადაწყვეტა
მოწყობილობა არ მუშაობს გამართულად.	გამუდმებით ჩართული იყო გამაფრთხილებელი შეტყობინება ფილტრის გამოცვლის შესახებ, მაგრამ შესაბამისი ფილტრი არ გამოგიცვლიათ. ამის შედეგად მოწყობილობა ამჟამად დაბლოკილია. ამ შემთხვევაში გამოცვალეთ ფილტრი და ფილტრის ვარგისიანობის მრიცხველის გადასატვირთად ხანგრძლივი შეხებით აირჩიეთ  და .
ჰაერის გამომშვები ნახვრეტიდან გამომავალი ჰაერი მნიშვნელოვნად სუსტია ადრინდელთან შედარებით.	ფილტრის ზედაპირი დაბინძურებულია. გაასუფთავეთ ფილტრის ზედაპირი (იხილეთ თავი „გასუფთავება და მოვლა-შენახვა“).

პრობლემა	შესაძლო გადაწყვეტა
ჰაერის ხარისხი არ უმჯობესდება მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, რაც მოწყობილობა მუშაობს.	• შეამოწმეთ, ფილტრიდან მოშორებულია თუ არა შესაფუთი მასალა. • ფილტრი არ დევს მოწყობილობაში. დარწმუნდით, რომ ფილტრი (FY1700/30) სწორადაა დაყენებული. • ნაწილაკების სენსორი სველია. თქვენს ოთახში ტენიანობის დონე მაღალია და კონდენსაციას იწვევს. დარწმუნდით, რომ ჰაერის ხარისხის სენსორი სუფთა და მშრალია (იხილეთ თავი „გასუფთავება და მოვლა-შენახვა“). • ოთახის ზომა დიდია ან ღია სივრცეში ჰაერის ხარისხი ცუდია. გაზმენდის ოპტიმალური შედეგების მისაღებად ამ მოწყობილობის მუშაობისას დახურეთ კარები და ფანჯრები. • დაბინძურების წყაროები შეიძლება იყოს დახურულ სივრცეშიც. მაგალითად, სიგარეტი, საკვები, არომატული სანთლები, სუნამო ან ალკოჰოლი. • ფილტრმა სასიცოცხლო ციკლის დასასრულს მიაღწია. ახლით ჩაანაცვლეთ ფილტრი.
ჰაერის ხარისხის ინდიკატორის ფერი არ იცვლება.	• ნაწილაკების სენსორი დაბინძურებულია. გაასუფთავეთ ნაწილაკების სენსორი (იხილეთ თავი „დასუფთავება და მოვლა-შენახვა“).
მოწყობილობა უცნაურ სუნს გამოსცემს.	• თავიდან მოწყობილობამ შეიძლება გამოსცეს პლასტმასის სუნი. ეს ნორმალურია. თუმცა, თუ მოწყობილობა ფილტრების მოხსნის შემდეგაც კი დამწვრის სუნს გამოსცემს, Philips-ის სავაჭრო აგენტს ან Philips-ის სერვისცენტრს დაუკავშირდით. გარკვეული პერიოდით გამოყენების შემდეგ ფილტრმა სუნი შეიძლება გამოსცეს შიდა აირების შეწოვის გამო. ფილტრის გამოყენების გასაგრძელებლად რეკომენდებულია მისი ხელახალი გააქტიურება მზის პირდაპირი სხივების ქვეშ მოთავსებით. თუ სუნი მაინც დარჩება, ფილტრი გამოცვალეთ.

პრობლემა	შესაძლო გადაწყვეტა
მოწყობილობა ზედმეტად ხმაურობს.	• ნორმალურია, თუ მოწყობილობა ტურბო რეჟიმში იმუშავებს. • ავტომატურ რეჟიმში მოწყობილობამ შეიძლება ხმაურიანად იმუშაოს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ჰაერის ძალიან დაბალი ხარისხი ან აპლიკაციაში ვენტილატორის მაღალი სიჩქარის მითითება. შეგიძლიათ, მოწყობილობა „ძილის“ რეჟიმში გადართოთ ან აპლიკაციაში შეცვალოთ პარამეტრები. • თუ მოწყობილობა მუშაობისას უცნაურ ხმებს გამოსცემს, მომხმარებელთა მხარდაჭერის ცენტრს დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში. • უცნაური და მაღალი ხმის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ჰაერის გამომშვებში რამე საგნის მოხვედრა. უცხო სხეულებისგან მოწყობილობის განსათავისუფლებლად დაუყოვნებლივ გამორთეთ და გადმოაბრუნეთ ის.
მოწყობილობა მაინც აჩვენებს, რომ ფილტრია შესაცვლელი, მაგრამ უკვე შევცვალე.	• შესაძლოა, არ გადაგიტვირთავთ ფილტრის ვარგისიანობის მრიცხველი. ჩართეთ მოწყობილობა. ამის შემდეგ შეეხეთ და 3 წამის განმავლობაში არ გაუშვათ ხელი ღილაკებს ჟ და .
ეკრანზე ჩნდება შეცდომის კოდები: „E1“.	• ძრავი გაუმართავია. დაუკავშირდით მომხმარებელთა მხარდაჭერის ცენტრს თქვენს ქვეყანაში.

პრობლემა	შესაძლო გადაწყვეტა
Wi-Fi ვერ ყენდება.	• თუ რუტერი, რომელთანაც თქვენი გამწმენდია დაკავშირებული ორდიაპაზონიანია და ამჟამად 2,4 გჰც-იან ქსელთან არაა დაკავშირებული, იმავე რუტერის (2,4 გჰც) სხვა დიაპაზონზე გადადით და ხელახლა ცადეთ გამწმენდის დანყვილება. 5 გჰც ქსელები მხარდაჭერილი არაა. • ვებ-ავთენტიფიკაციის ქსელები მხარდაჭერილი არაა. • შეამოწმეთ, Wi-Fi-ს რუტერის დაფარვის სივრცეში ხვდება თუ არა გამწმენდი. შეგიძლიათ, ცადოთ ჰაერის გამწმენდის Wi-Fi-ს როუტერთან უფრო ახლოს მოთავსება. • შეამოწმეთ, სწორია თუ არა ქსელის სახელი. ქსელი სახელი რეგისტრის მიმართ მგრძნობიარეა. • შეამოწმეთ, სწორია თუ არა Wi-Fi-ს პაროლი. პაროლი რეგისტრის მიმართ მგრძნობიარეა. • ხელახლა ცადე დაყენება იმ ინსტრუქციების მიხედვით, რომლებიც მოცემულია შემდეგ განყოფილებაში: „Wi-Fi-ს ხელახლა დაყენება“. • Wi-Fi-ს კავშირს შეიძლება ხელი შეუშალოს ელექტრომაგნიტურმა ამ სხვა სახის ინტერფერენციამ. მოწყობილობა მოარიდეთ სხვა ელექტრონულ მოწყობილობებს, რომლებმაც ინტერფერენცია შეიძლება გამოიწვიოს. • შეამოწმეთ, მობილური მოწყობილობა ფრენის რეჟიმში ხომ არ არის. დარწმუნდით, რომ ფრენის რეჟიმი გამორთულია, როცა Wi-Fi-ს ქსელს უკავშირდებით. • პრობლემების აღმოფხვრის შესახებ ვრცელი და განახლებული რეკომენდაციების მისაღებად გაცნით დახმარების განყოფილება აპში.

8 გარანტია და მხარდაჭერა

„Versuni“ გთავაზობთ ორწლიან გარანტიას ამ პროდუქტის შეძენის შემდეგ. ეს გარანტია არ იქნება მოქმედი, თუ წუნი გამოწვეულია არასწორი გამოყენებით ან არაკვალიფიციური ტექნიკური მომსახურებით. ჩვენი გარანტია გავლენას არ ახდენს თქვენს სამომხმარებლო უფლებებზე, კანონის შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ან გარანტიის გამოსაყენებლად, გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს:

www.philips.com/support.

ნაწილებისა და აქსესუარების შეკვეთა

თუ ნაწილის შეცვლა გჭირდებათ ან დამატებითი ნაწილის შეძენა გსურთ, ეწვიეთ Philips-ის სავაჭრო აგენტს ან იხილეთ www.philips.com/support.

თუ ნაწილების შეძენას ვერ ახერხებთ, Philips-ის მომხმარებელთა მხარდაჭერის ცენტრს დაუკავშირდით თქვენს ქვეყანაში.



Philips და Philips Shield Emblem წარმოადგენს კომპანია Koninklijke Philips N.V.-ის რეგისტრირებულ სავაჭრო ნიშნებს და გამოიყენება ლიცენზიის შესაბამისად.

მოცემული პროდუქტი დამზადებულია და იყიდება კომპანია Versuni Holding B.V.-ის პასუხისმგებლობით, ხოლო Versuni Holding B.V. წარმოადგენს გარანტს პროდუქტთან მიმართებაში.

2023 © Versuni Holding B.V.

AC1715_user manual_v1.0 (17/11/2023)

